ზეგანაკვეთური სამუშაო შრომის უსაფრთხოების ჭრილში, შედარებით-სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე

თეო მძინარიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კერძო ბიზნეს სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

კერძო ბიზნეს სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ერეკლე კალატოზიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი აკადემიური ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებული ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თეო მძინარიშვილი

05/07/2021

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი ეხება ზეგანაკვეთური სამუშაოს რეგულირებას, მისი ანაზღაურების წესსა და მისგან გამოწვეული შრომის უსაფრთხოების და ჯანსაღი სამუშაო პირობების ხელყოფას. ზეგანაკვეთური სამუშაო ყოველთვის დაკავშირებულია ანაზღაურების პრობლემასთან, თუმცა შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს ხელშეშლის ჭრილში იშვიათად ვხვდებით ლიტერატურას, სამართლის დოქტრინებსა თუ სასამართლო გადაწყვეტილებებში. ნაშრომში განხილულია ზეგანაკვეთური სამუშაოს რეგულირება ქართული კანონმდებლობის მიხედვით და შედარებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასთან. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ზეგანაკვეთური სამუშაოს კანონისმიერ ბუნებასა და იმაზე, თუ რამდენად სრულდება სამუშაო ადგილებზე შრომის კოდექსით დადგენილი წესები. სამაგისტრო ნაშრომში გაანალიზებულია ჩემ მიერ ჩატარებული გამოკითხვა, რომლის მიხედვითაც დადგინდა რამდენად ხშირად უწევთ დასაქმებულებს ზეგანაკვეთურად მუშაობა, უნაზღაურდებათ თუ არა დამატებითი საათები, იღებენ თუ არა წინასწარ შეტყობინებას და ის თუ რას გრძნობენ ადამიანები ზეგანაკვეთურად მუშაობის შემდეგ. ხანგრძლივი სამუშაო საათების კანონმდებლობით რეგულაცია მუდმივად იხვეწება, თუმცა დამსაქმებლისა და შრომის ბაზრის გათვალისწინებით, ყოველთვის რჩება ღია, მოუგვარებელი საკითხები ზეგანაკვეთური სამუშაოს ირგვლივ, თუმცა ნაშრომის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილი იქნება ის რეკომენდაციები, რომლებიც მაქსიმალურად დაარეგულირებს ხანგრძლივი სამუშაო პირობებით გამოწვეულ პრობლემებს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: შსო-შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია; სშკ-საქართველოს შრომის კოდექსი; სსკ-საქართველოს სამოქალაქო კოდექსი; შრომის სამართალი; ზეგანაკვეთური სამუშაო; ზეგანაკვეთური ანაზღაურება; შრომის პირობების დაცვა

Abstract

The master's research paper deals with the regulation of overtime work, the rules of its remuneration and the violation of labor safety and healthy working conditions caused by it. Overtime is always associated with pay issues, however, we rarely find literature, legal doctrines or court decisions in the context of a violation of a safe and healthy work environment.The paper discusses the regulation of overtime work according to Georgian legislation comparing it with that of the different countries of the world.The paper focuses on the legal nature of overtime work and the extent to which the rules set by the Labor Code are fulfilled in the workplace.The master's research paperanalyzes a survey I conducted to determine how often employees have to work overtime, whether they are paid overtime, whether they receive advance notice, and how people feel after working overtime.The regulation for long working hours is continuously being improved, however, considering the employer and the labor market, there always persist open and unresolved issues in respect of overtime work. However, the concluding part of the paper will present the recommendations aimed at addressing the problems that are caused by long working conditions, insofar as possible.

Key search terms: ILO - International Labor Organization; LCG -Labor Code of Georgia; CCG - Civil Code of Georgia; Labor law; Overtime; Overtime rate; To maintain appropriate working conditions.